ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

სამართალდამცავი ორგანოების როლი და არსებული პრაქტიკა

2019

სამართალდამცავი ორგანოების როლი და არსებული პრაქტიკა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი

ივნისი 2019

პროექტი
„ქალთა უფლებების გაძლიერება
დასავლეთ საქართველოში“

პროექტის არეალი:
ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, თერჯოლის,
სენაკის, ფოთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტები

დაიბეჭდა
გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია
Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst
მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

ს ა რ ჩ ე ვ ი

	თავი I შესავალი ნაწილი	5
1.1.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალობა და არსი	5
1.2.	ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია	9
	თავი II რეფორმები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით	11
2.1.	შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განვლილი გზა	11
2.2.	რეფორმის სამართლებრივი ასპექტები	17
	თავი III მონიტორინგის პროცესში სამართალდამცავ ორგანოთა მიერ გამოკვეთილი მიღწევები და დადებითი ტენდენციები	25
	თავი IV მონიტორინგის პროცესში სამართალდამცავთა მიერ გამოკვეთილი გამოწვევები	32
4.1.	გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევები და სამართალდამცავთა შენიშვნები	32
4.2.	გენდერული სტერეოტიპების ასპექტში გამოკვეთილი გამოწვევები	41
4.3.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გამკაცრების წინააღმდეგობები პრაქტიკაში	46
	თავი V შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კოორდინაცია რეფერირების მექანიზმის სხვა რგოლებთან	51
	თავი VI დასკვნა და რეკომენდაციები	56

თავი I

შესავალი ნაწილი

1.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალობა და არსი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემასთან ყველაზე ხშირი, თითქმის ყოველდღიური, შეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო, ან შსს) აქვს. ამ უწყების თანამშრომლები, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, პირველები გადიან შემთხვევის ადგილზე და უშუალოდ ურთიერთობენ როგორც მსხვერპლთან, ასევე მოძალადესთან. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. სამინისტრო სხვა უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის გადასაწყვეტად.[1]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, მთელი მსოფლიოს მსგავსად, ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა საქართველოში. სულ უფრო მეტი მსხვერპლი მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს და არ უშინდება, ძალადობას დაარქვას სახელი. ეს გამოწვეულია, მათ შორის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის 6 თვეში გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა (3292) ორჯერ აღემატებოდა მთელი 2017 წლის მონაცემს. ასევე გამოძიება დაიწყო ოჯახური დანაშაულის 2804 ფაქტზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 1933 პირის მიმართ, რაც წინა წლის მთლიან მონა-

[1] ოჯახში ძალადობა https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba

ცემს უტოლდება.[2] სულ 2018 წელს შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, რომელიც დაამტკიცა სასამართლომ, 7646 იყო. სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წელს ადევნების მუხლით გამოძიება დაიწყო 126 სისხლის სამართლის საქმეზე.[3] 2019 წელს, 14 აპრილის მდგომარეობით, პოლიციის მიერ გამოცემულია 2727 შემაკავებელი ორდერი.[4]

აღნიშნული მონაცემები ჯერ კიდევ სრულად არ ასახავს ქალთა მიმართ სხვადასხვა ტიპის ძალადობის მასშტაბურობას. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული კვლევის მიხედვით, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა, **ჩვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობას შვიდიდან ერთი ქალი განიცდის,** ხოლო თუ ძალადობის ყველა ფორმას გავაერთიანებთ, **საქართველოში ცხოვრების განმავლობაში გენდერული ნიშნით ძალადობა ოთხიდან ერთ ქალს განუცდია.** მათ შორის დაახლოებით 15,000 ქალს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა ორსულობის პერიოდში გამოუცდია, ხოლო ქალების 9%-მა აღიარა, რომ ბავშვობაში, სანამ 18 წელი შეუსრულდებოდათ, მათ მიმართ სექსუალურ ძალადობას ჰქონია ადგილი. სამწუხაროდ, ბევრი შემთხვევა გაუმჟღავნებელი რჩება.

---

[2] შინაგან საქმეთა სამინისტროში ოჯახური დანაშაულის შესახებ მომართვიანობა და დაკავებულთა რაოდენობა ბოლო 6 თვეში საგრძნობლად გაიზარდა
https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhuri-danashaulis-shesakheb-momartvianoba-bolo-6-tveshi-sagrdznoblad-gaizarda/11806

[3] სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 173
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/116173/2018–%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1–%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%9D–%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1–%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98

4 შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია
იხ.: https://police.ge/

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის ძალზე რთულია დაძლიოს შიში, სირცხვილი, მოძალადის წინააღმდეგობა, სხვა შესაძლო დაბრკოლებები (მათ შორის, ეკონომიკური, გეოგრაფიული), გაუმკლავდეს საზოგადოებაში ღრმად გამჯდარ სტერეოტიპებს და გაამჟღავნოს ძალადობის ფაქტი. შესაბამისად, აუცილებელია პოლიციისგან მიიღოს მხარდაჭერა, გულისხმიერება და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მცოდნე, კვალიფიციური თანამშრომლების მიერ გაწეული დახმარება.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ **მეორადი ძალადობა, მსხვერპლის მეორადი ძალადობა (secondary victimization) გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის.** მეორადი ძალადობის განცდის შიში მსხვერპლს აიძულებს, არ ილაპარაკოს თავის პრობლემაზე. შედეგად, ძალადობის პრობლემა სულ უფრო მასშტაბური ხდება და ასევე იზრდება მსხვერპლისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკი. საქართველოს სახალხო დამცველის ცნობით, პრობლემურია სამართალდამცავების არამგრძნობიარე დამოკიდებულება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები პოლიციელების მხრიდან შეურაცხმყოფელ და დამცინავ დამოკიდებულებაზე უთითებენ.[5] **მეორადი ძალადობის** შესახებ საუბრობს ევროსაბჭოს სტამბოლის კონვენციაც[6]. აღნიშნული ტერმინი რამდენიმე ვარიაციით გვხვდება[7] და უკვე კარგადაა დამუშავებული აკადემიურ სივრცეში. იგი გულისხმობს **ძალადობის ფაქტზე მომუშავე პროფესიონალების** (პოლიციის, პროკურატურის, სოციალური სერვისების სისტემის, ექიმების, სოცმუშაკების და ა.შ) **არამ-**

---

[5] სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ. 174

[6] ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, მუხ. 15.1 https://www.coe.int/fr/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008482e

[7] ხელახალი ვიქტიმიზაცია, რევიქტიმიზაცია, ორმაგი ვიქტიმიზაცია, მეორადი ვიქტიმიზაცია, მეორადი ძალადობა, მეორადი დისკრიმინაცია

გრძნობიარე, არაგულისხმიერ დამოკიდებულებას მსხვერპლის მიმართ, ასევე თვით **მსხვერპლის დადანაშაულებას,** რომ მან გამოიწვია ძალადობა, ან რაიმე ფორმით უბიძგა მოძალადეს ძალადობისკენ,[8] რაც დამატებითი ტრავმაა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია პოლიციელების შემთხვევაში, რადგან უპირველესად და ყველაზე ხშირად სწორედ მათ მიმართავენ დაზარალებულები. სამართალდამცველების მიერ გამოჩენილი უყურადღებობის, დაცინვის/დადანაშაულების შიშის ან უგულებელყოფის გამო, არაერთი დაზარალებული თავს იკავებს გააზიაროს თავისი მძიმე გამოცდილება. ასეთი მდგომარეობა, თავის მხრივ, ხელს უშლის პრევენციას, მსხვერპლის დაცვა/რეაბილიტაციას, მოძალადის დასჯას და, საერთო ჯამში, პრობლემის მოგვარებას კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში გადაავადებს[9]. ამ კუთხით განსაკუთრებით მძიმეა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე მსხვერპლთა გამოცდილება.[10]

---

[8] What is secondary victimization? Article: "Secondary Victimization of Rape Victims: Insights from Mental Health Professionals Who Treat Survivors of Violence"
https://mainweb-v.musc.edu/vawprevention/research/victimrape.shtml

[9] „მე არ წავალ სასამართლოში დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, რადგან როდესაც შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე პოლიციას მივმართე, მოვიდა უამრავი კაცი პოლიციელი, რომლებიც მისვამდნენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც არ იყო შემხებლობაში საქმესთან და მორალურად ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. მე ვერ მივიღე ის დახმარება, რასაც ველოდი, ვერ ვიგრძენი თავი დაცულად, ამიტომ მირჩევნია, ჩემით მოვაგვარო პრობლემა." ვრცლად იხ.: სიდას 2017 წლის ანგარიში - „გენდერული ნიშნით ძალადობა ქვემო ქართლში"
http://ewmi-prolog.org/images/files/7208GEO-ReportonGander-BasedViolenceinKvemoKartli2017.pdf

[10] კვლევა - „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების ზეპირი ისტორიები"
http://phr.ge/assets/uploads/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/1.pdf

ძალადობის წინააღმდეგ გამართული ყოველდღიური ბრძოლის ფონზე საინტერესოა, როგორ უმკლავდება პოლიცია ამ პროცესის თანმხლებ გამოწვევებს, რეალურად უზრუნველყოფს თუ არა მსხვერპლის დაცვასა და მოძალადის დასჯა/შეკავებას, ასევე, რა სირთულეები ექმნებათ თავად სამართალდამცავებს გამოძიებისას.

1.2. ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია

შსს-ს მიერ საკანონმდებლო სიახლეების დანერგვისა და სისტემის თანამშრომელთა მიერ ახალი რეალობის აღქმის შესაფასებლად და შესასწავლად, ფონდმა „სოხუმმა“ გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციის Brot für die Welt-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, 2019 წლის მარტ-აპრილში ჩაატარა მცირე მასშტაბის მონიტორინგი შსს-ს ადგილობრივ სტრუქტურებთან.

მონიტორინგი ჩატარდა ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით ფონდი „სოხუმის“ მიერ, სამიზნე რეგიონების მასშტაბით ორ ეტაპად - ქუთაისის, თერჯოლა-ზესტაფონის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის შსს-ს რეგიონალური სამმართველოების, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მონაწილეობით. სულ ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია, 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ. **რესპონდენტთა საერთო რაოდენობა - 30, ძირითადად, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები, ასევე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები**. კვლევის მონაწილეთა შორის დაცული იყო გენდერული ბალანსი. ასევე, სამართალდამცავთა მუშაობის შესაფასებლად, **ჩატარდა 6 ჩაღრმავებული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლებთან** ზუგდიდსა და ქუთაისში (მათი ნაწილი იმყოფება სახელმწიფო და

არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებში, ნაწილი ცხოვრობს ქირით მუნიციპალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან ნათესავებთან).

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები, ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები.

თავი II:

რეფორმები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით

2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განვლილი გზა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მუშაობისას **საკმაოდ რთული და ხანგრძლივი გზა გაიარა.** დღეისათვის ხელშესახები პროგრესი სახეზეა, თუმცა რჩება გარკვეული გამოწვევები, რომელთაც ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს.

შსს-ს მიერ განხორციელდა ღონისძიებები, როგორც სისტემის გარეთ **მოქალაქეთა ცნობიერების ასამაღლებლად** ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ, ისე ფართო მასშტაბის რეფორმა გატარდა თვით სისტემის შიგნით, **თანამშრომელთა გადამზადებისა** და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული გამოწვევების ეფექტიანად გამკლავების კუთხით.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შსს-ს აკადემიის[11] სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აკადემია ყოველწლიურად ახორციელებს ოჯახში ძალადობის საგნის სწავლებას საბაზისო კურსით. ასევე მოძალადის მონიტორინგის მექანიზმის - პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, პოლიციის 10 000-მა თანამშრომელმა გაიარა სწავლების დისტანციური კურსი.[12] შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანე-

[11] შსს აკადემიის სასწავლო პროგრამები
http://policeacademy.gov.ge/ka/professional-education/training-courses

[12] ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში
https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-adamianis-uflebata-datsvis-departamentma-sazogadoebas-9-tviani-mushaobis-shedegebi-tsarudgina/12049

ლო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე[13] და სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისთვის[14]. თუმცა უწყების ძალისხმევა ამ მიმართულებით მეტად უნდა გაძლიერდეს. **საჭიროა პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობის უწყვეტ რეჟიმში გაგრძელება.**

2018 წელს შსს-მ გაიზიარა არასამთავრობო ორგანიზაციების და გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეკომენდაციები და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გასააქტიურებლად, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით, **სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი**[15], რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს და უზრუნველყოფს არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციის შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას.[16]

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვის ფონზე კვლავ **გამოწვევად რჩება სისტემაში ქალი თანამშრომლების სიმცირე.** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცნობით, ქალი პატრულ-ინსპექტორის/უფროსი პატრულ-ინსპექტორის რაოდენობა აღნიშნულ თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა

---

[13] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf

[14] სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისთვის https://police.ge/files/IRD/Book%202.pdf

[15] ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti

[16] დეპარტამენტის ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის №1 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3999709

საშუალოდ 3%-ია, ხოლო უბნის ინსპექტორების/უფროსი უბნის ინსპექტორების - საშუალოდ 13%. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 58 ტერიტორიული ორგანოდან ქალი პატრულ-ინსპექტორი/უფროსი პატრულ-ინსპექტორი **არ არის დასაქმებული** 76%-ში (44 ორგანო), ხოლო კრიმინალური პოლიციის 418 სამმართველოდან – 61%-ში (255 სამმართველო). შესაბამისად, იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ქალი პოლიციელი არ არის, ოჯახში ძალადობისას მათი ჩართვა ვერ ხერხდება, ხოლო იქ, სადაც ქალი პოლიციელები არიან, არ ხორციელდება სპეციალური პრიორიტეტის მინიჭება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გენდერულად დაბალანსებული ეკიპაჟის გაგზავნის მხრივ.[17] ამ გამოწვევის დაძლევა და **შსს-ში ქალი თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა აუცილებელია,** ერთი მხრივ, მსხვერპლთა/სავარაუდო **მსხვერპლთა ნდობის მოსაპოვებლად**, ხოლო, მეორე მხრივ, **პოლიციაში და პოლიციის შესახებ არსებული გენდერული სტერეოტიპების დასანგრევად და გენდერული დისბალანსის დასაძლევად.**

შსს, საზოგადოებასთან მუშაობით, **ცდილობს ხელი შეუწყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.** მოქალაქეთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით ფუნქციონირებს **ცხელი ხაზი,** ხოლო შსს-სთან მოსახლეობის თანამშრომლობის წასახალისებლად ტარდება ინფორმაციული **კამპანიები**. ასევე დაინერგა სიახლე **„112"-ის მობილური აპლიკაციის** მიმართულებითაც, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით დაემატა ახალი ფუნქციონალი - „სასარგებლო რჩევები" - ოჯახში ძალადობის საკითხებზე. დაინტერესებულ პირებს მასში შეუძლიათ მარტივად მოიძიონ

[17] სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც მოიცავდა 2015 წლიდან 2018 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით პერიოდს. გვ. 32-33
https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxuri–dzaladobis–efeqtianobis–auditis–angarishi.pdf

ინფორმაცია ოჯახში ძალადობის, მასზე რეაგირების მექანიზმების, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის არსებული სახელმწიფო მომსახურებების - თავშესაფრების, კრიზისული ცენტრებისა და ცხელი ხაზის (116 006) შესახებ.

აპლიკაციას ჩუმი განგაშისა და „ჩატის“ ფუნქციები აქვს და ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მოქალაქეს საუბარი არ შეუძლია, ან დარეკვით საფრთხე ექმნება.[18]

მიმდინარე წელს **შსს გეგმავს ელექტრონული მონიტორინგის სამაჯურების დანერგვას მოძალადეებისთვის**, რომელთა შემთხვევაშიც მაღალია განმეორებითი ძალადობის რისკი. პირველ ეტაპზე იგეგმება 100-150 სამაჯურის შეძენა.[19]

2019 წლიდან სამინისტროში საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური**, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, სექსუალური ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლებთან, ასევე არასრულწლოვან და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დაზარალებულებთან/მოწმეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა და დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის გამკლავებაში დახმარება.[20]

---

[18] 112-ის მობილურ აპლიკაციას ოჯახში ძალადობის შესახებ ახალი ფუნქციები დაემატა
http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/new-domestic-violence-features-added-to-112-mobile-app

[19] შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადება
https://1tv.ge/news/momavali-wlidan-eleqtronuli-samajurebi-amoqmeddebaromlitac-maghali-riskis-matarebeli-modzaladeebis-qcevis-kontroli-gankhorcieldeba/

[20] შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ამოქმედდა
https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amoqmedda/12442

მისასალმებელია, რომ **გამკაცრდა პოლიტიკა უწყების იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობაში არიან მხილებული, ან არასათანადოდ რეაგირებენ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე.** ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის ჩადენისთვის პოლიციელის მიმართ გამოცემული შემაკავებელი/დამცავი ორდერის საფუძველზე გამოიყენება ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელი - სამსახურიდან დათხოვნა.[21] 2018 წელს ოჯახში ძალადობაში მხილებული 16 პოლიციელის მიმართ, გამოძიების პარალელურად, გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა.[22] ხოლო არასათანადო რეაგირების გამო დისციპლინური სახდელი დაეკისრა 8 პოლიციელს.

გამოწვევად რჩება **ინფრასტრუქტურული პრობლემები.** სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, პოლიციის ბევრი შენობა არ არის ადაპტირებული მსხვერპლებთან სამუშაოდ, რაც ხელს უშლის მსხვერპლს, კონფიდენციალურად, მისთვის შედარებით კომფორტულ გარემოში გაუზიაროს საკუთარი ამბავი პოლიციელს. შედეგად, რიგ შემთხვევაში, ისინი უარს აცხადებენ პოლიციისთვის განმეორებით მიმართვაზე. ეს კი აკავებს მათ გამოწვევას, ასევე წარმოადგენს **ძალადობის მსხვერპლთა სპეციალური გამოკითხვის წესების არარსებობა** და სამართალდამცავი უწყებისთვის იმ სახელმძღვანელო პრინციპების არქონა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოკითხვის წესს დაადგენდა.[23]

---

[21] შსს-ს განცხადება
https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-sakhalkho-damtsvelis-2018-tsels-gatsemuli-rekomendatsiebis-umetesi-natsili-sheasrula/12610

[22] ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში
https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-adamianis-uflebata-datsvis-departamentma-sazogadoebas-9-tviani-mushaobis-shedegebi-tsarudgina/12049

[23] სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 174

სამინისტრო აწარმოებს სტატისტიკას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე, ასევე **გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესახებ.** თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგინდა, რომ შსს-ში მოქმედი ორდერების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არასრულად არის ასახული შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა. მაგალითად, 2017 წელს გამოცემული დამცავი ორდერების მხოლოდ 22% არის დარეგისტრირებული, რაც დამცავი ორდერების აღსრულებას სათანადო ყურადღების მიღმა ტოვებს. **დამცავ ორდერზე ზედამხედველობაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება,** თუმცა, სტატისტიკის თვალსაზრისით, შსს-ს მონაცემთა ბაზაში მხოლოდ შემაკავებელი ორდერების აღრიცხვა ევალება. ეს პრობლემას ქმნის, როგორც ორდერის აღსრულების, ისე ძალადობის ისტორიის გათვალისწინებისა და რისკის შეფასების თვალსაზრისით.[24]

გამოწვევას წარმოადგენს **მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლაც**, ერთი მხრივ, რეაბილიტაციის გავლის არასავალდებულო ხასიათის გამო, ხოლო მეორე მხრივ კი არ განხორციელებულა ძალადობრივი ქცევის მართვის არსებული პროგრამის შეფასება.[25]

ოჯახში ძალადობაზე რეაგირებისას ხშირად დაბრკოლებას ქმნის პოლიციელისათვის საჭირო ინფორმაციაზე (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.) ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. საპატრულო ეკიპაჟს და უბნის ინსპექტორებს არ აქვთ საშუალება,

---

[24] ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი. გვ. 30
https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxuri–dzaladobis–efeqtianobis–auditis–angarishi.pdf

[25] შედარებისათვის: მსჯავრდებულთა რაოდენობა ოჯახური დანაშაულის და ოჯახში ძალადობის ნიშნით - 641 იყო, ხოლო ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა - 117. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ. 171-172

გადაამოწმონ, ერიცხება თუ არა მოძალადეს ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე შეზღუდულია პატრულ-ინსპექტორების წვდომა შემაკავებელი ორდერების ბაზაზე. **ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა ქმნის რისკს,** რომ პოლიციელმა ძალადობის ფაქტი განიხილოს, როგორც ცალკე აღებული შემთხვევა, რაც ხელს უშლის სათანადო რეაგირებას.[26]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინა წლებთან შედარებით, **შსს-მ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმედითი ნაბიჯები გადადგა და თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია,** თუმცა გამოწვევა კვლავ მრავლად რჩება.

მიღწეულმა პროგრესმა სამინისტროს სტიმული უნდა მისცეს რეფორმების გასაგრძელებლად. მეტი მუშაობაა საჭირო, რათა პოლიციისადმი ნდობა კიდევ უფრო გაიზარდოს, თავისი მოვალეობა და როლი უწყების ყველა თანამშრომელმა გაიაზროს და მსხვერპლის უფლებათა ძლიერ დამცველად და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეფექტიან აღმკვეთად იქცეს.

2.2. რეფორმის სამართლებრივი ასპექტები

დისკრიმინაციისგან ქალთა დაცვა და მამაკაცებთან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა **გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით**[27] 2004 წელს საქართველოს მიერ ათასწლეულის განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების ვალდებულების აღების შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი იქ-

[26] ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი, გვ. 27-28, 30

[27] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 4.1 https://matsne.gov.ge/ka/document/download/91624/8/ge/pdf

ნა მიღწეული გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვის, გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩოს შემუშავების თვალსაზრისით. მიღებულია დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ, მათ შორის: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (2006) და შესაბამისი სამოქმედო გეგმები; „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი (2006), „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი (2010) და ეროვნული სამოქმედო გეგმები; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი (2014); ასევე 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა ევროსაბჭოს 2011 წლის კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე. წ. სტამბოლის კონვენცია), რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

ქვეყანა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ[28] აუცილებელი გახდა საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო აქტის ნორმებთან თანხვედრაში მოყვანა. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი კანონი ვერ აკმაყოფილებდა კონვენციით მოთხოვნილ სტანდარტს,

[28] ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

ხოლო ძალადობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის არსებული მექანიზმი საჭიროებდა ქმედითობის ხარისხის გაუმჯობესებას.[29]

სტამბოლის კონვენცია წარმოადგენს ევროპაში პირველ სავალდებულო ხასიათის სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვას და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რაც აუცილებელია ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი სახის ძალმომრეობითი ქმედების თავიდან ასაცილებლად. კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ცვლილებები შევიდა 24 კანონში.[30]

კონვენციის თანახმად, ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა **გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.** ასევე **დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ.**[31]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი სახელმწიფო სტრუქტურაა ჩაბმული. ამ ბრძოლის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა უწყების მიერ დაკისრებული როლის გააზრებასა და მოვალეობათა პირნათლად შესრულებაზე.

---

[29] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142308?

[30] საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალი აქტების ჩამონათვალი დეტალურად იხ.: https://info.parliament.ge/№law-drafting/13414

[31] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 53[1]
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426

სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში შეიქმნა **გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია**[32], რომლის უმთავრესი ამოცანაა სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ მიმართული პოლიტიკის და განხორციელებული ზომების კოორდინაცია, განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება.[33] შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არის უწყებათაშორისი კომისიის წევრი.

სტამბოლის კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო **ცვლილება შეეხო საქართველოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.** გაფართოვდა კანონის მოქმედების სფერო, რომელმაც მოიცვა არა მხოლოდ ოჯახში არსებული, არამედ ქალთა მიმართ განხორციელებული ყველა ფორმის ძალადობა. 2017 წლის 4 მაისიდან კანონის სახელწოდებაა - საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.[34]

---

[32] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 12.6 https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8

[33] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება“, მუხ. 4.ლ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=0

[34] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

აღნიშნული კანონი **ნათლად განსაზღვრავს პოლიციის მოვალეობებს** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმის წარმოებისას, რაც ითვალისწინებს სავარაუდო მსხვერპლის, მოწმის, მოძალადის განცალკევებულად გამოკითხვას, მსხვერპლისთვის გასაგები ფორმით მისი უფლებების, არსებული სამართლებრივი დახმარების მექანიზმებისა და შესაბამისი მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებაში ან/და თავშესაფარში გადაყვანას, შემაკავებელი ორდერის გამოცემას, შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობას და ა.შ.[35]

ცვლილებების თანხმად, **2017 წლიდან შემაკავებელი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე** და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება ან ბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს. ასევე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს 2018 წლის 1 სექტემბრიდან შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დანერგილი **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტისა[36] და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის**

---

[35] იქვე, მუხ. 16, 17[1].

[36] განმეორებითი ძალადობის რისკები და რისკის სიმძიმე ფასდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ასახული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე. დეტალურად კითხვები და მინიჭებული ქულები იხ.: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის N81 ბრძანების „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ დანართი N2 - შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმა
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0

მექანიზმი[37], რომელიც **მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციას ემსახურება.** მისი მიზანია სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით, ასევე ძალადობის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების გზით, უკეთ შეაფასოს მოძალადისგან მოსალოდნელი რისკები. ბუნებრივია, ეს ხელს შეუწყობს სამართალდამცველების მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას, განმეორებითი ძალადობის ფაქტების შემცირებას და ერთგვაროვანი, თანმიმდევრული პრაქტიკის დამკვიდრებას.

რისკის შეფასების მექანიზმისა და ორდერის მონიტორინგის წესის ამოქმედების შემდეგ შემაკავებელი ორდერის გაცემის პროცესი უფრო თანმიმდევრული გახდა, თუმცა **გამოწვევად რჩება პოლიციის მხრიდან რისკის შეფასების ოქმის სრულყოფილად შევსება.** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის თანახმად, 2018 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გამოცემული 55 ორდერიდან 35% არასრულად არის შევსებული. გარდა ამისა, ორდერების 9% (5 შემთხვევა) გამოწერა მოხდა მაშინ, როცა დაგროვილი ქულები არ აკმაყოფილებდა ორდერის გამოცემის სამქულიან ზღვარს.[38] განმეორებითი ძა-

[37] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 ივლისის ბრძანება „შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ოქმებისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“
https://info.police.ge/uploads/5b558e7bd4c8f.pdf

[38] განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციელს შეუძლია ორდერი გამოსცეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქულათა რაოდენობა სამზე ნაკლებია.
ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი, გვ. 27

ლადობის რისკები და რისკის სიმძიმე ფასდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ასახული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგად **გამკაცრდა პასუხისმგებლობა შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების დარღვევისათვის,** რომლის თანახმად, მსგავსი ქმედება კვალიფიცირდება არა როგორც ადმინისტრაციული გადაცდომა[39], არამედ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, რაც ჯარიმასა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან ერთად 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს.[40]

კანონის ჯეროვანი შესრულების ხელშესაწყობად საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა[41], რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრა **შსს-ს ვალდებულებები,** კერძოდ კი სტატისტიკის წარმოება და მონაცემების ხელმისაწვდომობის

[39] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 175[2] - დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა (ნორმის ძველი რედაქცია იხ.: https://police.ge/files/IRD/Administrative%20Code.pdf). ეს ნორმა შეიცვალა 2018 წლის 30 ნოემბრის კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, მუხ. 1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382858№DOCUMENT:1;

[40] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 381[1].1

[41] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0

უზრუნველყოფა; პოლიციელთა სპეციალიზაციის გაძლიერება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიება და ხარვეზების გამოვლენა; ძალადობის რისკის შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა; თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; „112“-ში შესული შეტყობინებების ანალიზი; სამთავრობო გეგმის შესაბამისად, ყოველწლიური, შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება და სხვა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ფონზე, საინტერესოა, როგორ ხედავენ ამ პროცესში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებს თავად პოლიციელები და როგორია მათი შეფასება მსხვერპლების, ანუ იმ ადამიანების პერსპექტივიდან, რომელთა მდგომარეობაზეც უშუალოდ აისახება სამართალდამცავთა ყოველი წარმატება თუ მარცხი.

თავი III

მონიტორინგის პროცესში სამართალდამცავ ორგანოთა მიერ გამოკვეთილი მიღწევები და დადებითი ტენდენციები

ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უდავოდ არის სამართალდამცავების, **პოლიციის თანამშრომლების ცნობიერების ზოგადი დონის ამაღლება**, მათი მუშაობის დახვეწა, **კვალიფიკაციის და ცოდნის გაუმჯობესება**, **გენდერულად ორიენტირებული მიდგომების დანერგვა** პრაქტიკაში და **დაზარალებულისადმი მხარდაჭერა.**

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მონიტორინგის პროცესში გამოკითხულ მსხვერპლთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა **პოლიციიის მიერ მათ დასაცავად გაწეული ძალისხმევა.** მათ ცალსახად აღნიშნეს, რომ, წინა წლებთან შედარებით, სამართალდამცველების დამოკიდებულება რადიკალურად შეცვლილი და გაუმჯობესებულია. მართალია, არსებობს ნეგატიური გამოცდილებაც, მაგრამ ის უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. თუ ადრე პოლიციელები რეაგირებდნენ შემთხვევაზე, მაგრამ არ მალავდნენ ნეგატიურ/ინდიფერენტულ დამოკიდებულებას მსხვერპლის მიმართ, ახლა მათი მხრიდან მეტად იკვეთება გულისხმიერება, მხარდაჭერა, დახმარების გულწრფელი სურვილი. ყოველივე ამან კი, თავის მხრივ, გაზარდა ნდობა შსს-ს მიმართ. ძალადობის ფაქტების გახმაურების და დახმარების სათხოვნელად მსხვერპლს დღეს ნაკლებად აბრკოლებს პოლიციის მიმართ უნდობლობა ან შიში, ამ კუთხით წინაღო-

ბას საზოგადოებრივი აზრი უფრო წარმოადგენს, განსაკუთრებით რეგიონებში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ქუთაისში გამოკითხულმა მსხვერპლმა აღნიშნა, რომ პოლიციელს თავის გულშემატკივრად აღიქვამდა, რომელიც საქმეს გულით აკეთებდა. ერთ-ერთმა მსხვერპლმა კი მიუთითა, რომ *„ხუთი წლის წინანდელი პოლიციელი ძალიან განსხვავდება ახლანდელი პოლიციელებისგან. მათი შედარება არ შეიძლება, არც პროფესიული კუთხით და არც [მსხვერპლის მიმართ] დამოკიდებულებით“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

გამოკითხული პოლიციელების მიერ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად შეფასდა **შემაკავებელი ორდერის გამოცემის გამარტივება.** ამან გაზარდა პოლიციის მიმართ ნდობა და უზრუნველყო მსხვერპლის დროულად დაცვა, რადგან ზედმეტი დრო აღარ არის საჭირო ორდერის დასამტკიცებლად. ასევე, გამოუთავისუფლა პოლიციელებს დრო. შემაკავებელი ორდერების გასაჩივრების მხოლოდ ერთეული სტატისტიკა არსებობს და ისიც, რესპონდენტების ცნობით, მეტწილად უკავშირდება მსხვერპლის მიერ ჩვენების შეცვლას და წყვილის შერიგებას. კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: *„შემაკავებელი ორდერების გამოცემის გამარტივება იმდენად აუცილებელი იყო, რომ ეს ცვლილება ყველაზე დიდი მონაპოვარი მგონია“* (ფოკუს-ჯგუფი, ხონი).

სამართალდამცავთა თქმით, ადრე არსებული წესი, რომლის მიხედვითაც მათ მიერ გამოცემულ ორდერს ძალაში შესასვლელად სასამართლოს მიერ დამტკიცება სჭირდებოდა, პრაქტიკაში უამრავ პრობლემას იწვევდა, მათ შორის, ხდებოდა საქმის გაჭიანურება, იხარჯებოდა ზედმეტი დრო, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობდა ძალადობის განმეორების, ან მოძალადის მიერ შურისძიების რისკი.

ამასთან, სასამართლოში ხშირად იცვლებოდა ჩვენება, საჭირო იყო ორივე მხარის გამოცხადება, პროცესის ჩანიშვნის მოლოდინში ხშირად მთელი დღე გადიოდა. ეს ყველაფერი ძალზე სტრესული იყო პოლიციისა და განსაკუთრებით - მსხვერპლისთვის. მოძალადეები, არცთუ იშვიათად, ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ პროცესისთვის. ყოფილა შემთხვევები, როცა რომელიმე მხარე არ გამოცხადდა და შემაკავებელი ორდერი არ დამტკიცდა.

კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: *„ლანჩხუთის სასამართლო მარტო სამშაბათობით მუშაობს ადმინისტრაციული ხაზით. თუ ოთხშაბათს ხდებოდა ძალადობის ფაქტი, მოძალადის გადაყვანა გვიწევდა ოზურგეთში, მას შეეძლო ეთქვა, დღეს არ მცალია, ხვალ წავიდეთ და იყო სირთულეები. ახლა სასამართლო საჭირო არ არის, ადგილზე ხდება გამოწერა, ძალაშია ორდერი გამოწერისთანავე, ამაზე უკეთესი ცვლილება ამ საქმეში არ მომხდარა“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

შსს-ს თანამშრომლების მიერ ასევე მოწონებულია სამინისტროს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია **პერსონალის ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისკენ.** პოზიტიურად იქნა შეფასებული სამინისტროს საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უწყების წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენერთა ტრენინგი, ამის შემდეგ სკოლებში ჩატარდა საკმაოდ პროდუქტიული სამუშაო სამოქალაქო განათლების კუთხით, ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად (რესპონდენტებმა ისაუბრეს ზუგდიდის, სენაკის, ფოთის სკოლებთან თანამშრომლობის მაგალითზე).

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს **საგანმანათლებლო ღონისძიებების საჭიროებას** და მის **პოზიტიურ შედეგს**, ზოგ მათგანს საშუალება ჰქონდა, სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც გასცნო-

ბოდა. მონიტორინგის მონაწილეების ინფორმაციით, უწყებაში მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულობით ტარდება ტრენინგების ციკლი, რომელზეც გადამზადდებიან შსს სამინისტროს წარმომადგენლები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემაზე კვალიფიციური რეაგირებისათვის. ტრენინგები ტარდება შსს-ს ეგიდით. ამ საკითხებზე მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ტრენინგებს ატარებს პოლიციის აკადემიაც. რესპონდენტთა ინფორმაციით, სამინისტროდან თანამშრომლებს ხშირად მიუთითებენ, რომ ეს ტრენინგები ყველამ გაიაროს.

ტრენინგების ფარგლებში სამართალდამცავები იძენენ ცოდნას და ეუფლებიან იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებათ, მათ შორისაა: მსხვერპლთან მუშაობის ტექნიკა, შეკითხვების დასმის და კომუნიკაციის დამყარების ეფექტიანი მეთოდები, ძალადობის მიზეზების გამოკვლევა, ძალადობის გენდერული ასპექტები, გენდერული ძალადობა, როგორც დანაშაულის მოტივი და სხვა. *„ორდერის გამოწერის დროს პარალელურად ვფიქრობ იმაზე, როგორ დავეხმარო მსხვერპლს. უკვე ვგრძნობ, რა ტიპის დახმარება უფრო სჭირდება მას. თუ ვხედავ, რომ მას სჭირდება ფსიქოლოგი, ვეძებ მისთვის ფსიქოლოგს. თუ სხვა ტიპის დახმარება სჭირდება, ვუხსნი, რომ მისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია - ეს ყველაფერი მომცა ამ ტრენინგებმა“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

სამართალდამცავების თქმით, **ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მათ დაეხმარა** არა მხოლოდ ცოდნის შეძენაში, არამედ ინტუიციის, ალღოს გამომუშავებაში. ასევე აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო ღონისძიებები გამოცდილების გაზიარების საშუალებასაც იძლევა, პოლიციელები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას, თუ რა პრობლე-

მებს აწყდებიან მუშაობის პროცესში, რადგან *„ყველა ორდერის ისტორია არის თავისებურად განსხვავებული და საინტერესო“* (ფოკუს-ჯგუფი, ხონი).

მონიტორინგმა ერთმნიშვნელოვნად გამოავლინა **რისკების შეფასების და მონიტორინგის მექანიზმის, როგორც ძალადობის პრევენციის და მსხვერპლის დაცვის ქმედითი ინსტრუმენტის, დადებითი გავლენა,** შემთხვევის სიმძიმის შეფასების, შემაკავებელი ორდერის პირობების შესრულების, მსხვერპლის საჭიროების გამოვლენის კუთხით. აღნიშნული ინსტრუმენტის დანერგვა რეგიონებში სხვადასხვა დროს მოხდა, მაგრამ დღეისათვის ყველგან გამართულად მუშაობს. რესპონდენტთა შეფასებით, მექანიზმს აქვს სამმაგი ეფექტი: მსხვერპლის დაცვის და მოძალადის კონტროლის პარალელურად, დაცულია თვითონ პოლიციელი, რადგან არსებობს მისი ფუნქციებისა და ორდერით გათვალისწინებული მხარეებისთვის სავალდებულო ქმედებების მკაფიო ინსტრუქციები. **ქულათა სისტემა,** პოლიციელების აზრით, კარგად **უზრუნველყოფს შემთხვევის სიმძიმის სწორად შეფასებას.**

ადრე არსებული პრაქტიკით, შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემდეგ მოძალადის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები არ არსებობდა, ახალმა ინსტრუმენტმა გაამარტივა და გააუმჯობესა პოლიციის მუშაობა, ამასთან, მიდგომა გახდა უფრო სისტემური, ერთიანი და ობიექტური. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოძალადისგან მოსალოდნელი რისკის შეფასება დაეფუძნა უფრო ობიექტურ კრიტერიუმებს, ვიდრე მხოლოდ ერთი პოლიციელის აღქმაა, ასევე რისკის დონის შესაბამისადვე განისაზღვრება მონიტორინგის ინტენსივობა. აღნიშნული დადასტურდა რესპონდენტთა გამოკითხვით: *„მონიტორინგის მექანიზმი ქმედითია იქედან გამომდინარე, რომ ინსპექტორს ორდერის მოქმედების ვადაში აქვს ურთიერთობა როგორც მსხვერპლთან, ასევე მოძალადესთან. რისკის მაჩვენებლის მი-*

ხედვით არის განსაზღვრული, რამდენი სატელეფონო ზარი და ვიზიტი უნდა განხორციელდეს როგორც გეგმიური, ასევე არაგეგმიური. ძალიან ეფექტურად ვთვლი ამ სისტემას, ვინაიდან მჭიდრო კავშირშია უბნის ინსპექტორი ორივე მხარესთან და აკონტროლებს, დარღვევა მოხდა თუ არა, რამდენად იცავს მოძალადე ორდერში განსაზღვრულ პირობებს" (ჩაღრმავებული ინტერვიუ, სენაკი).

რისკების შეფასების და **მონიტორინგის სისტემას საჭირო სიახლედ მიიჩნევენ გამოკითხული მსხვერპლებიც.** მათი თქმით, ორდერის მოქმედების პერიოდში პოლიცია აკონტროლებდა სიტუაციას და იცავდა მათ უსაფრთხოებას.

დადებითად შეფასდა თანამშრომლობა შსს-ს რეგიონულ სამსახურებს შორის, შიდაუწყებრივი კოორდინაციის საშუალებით. **მსხვერპლის და მოძალადის შიდა რეგიონული მიგრაციის მიუხედავად, სისტემა გამართულად მუშაობს.** *„მაგალითად, თუ გამოწერა ორდერი ფოთმა, მოძალადე ცხოვრობს ზუგდიდში, გადაეგზავნება ორდერი ზუგდიდს და მონიტორინგიც მან უნდა აწარმოოს. თბილისში მომხდარი ძალადობის ორდერი გამოგვეგზავნა ერთხელ და ჩვენ გავუწიეთ მონიტორინგი. ასეთი მექანიზმი ძალიან აქტიურად მუშაობს"* (ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

ასევე, სამართალდამცავთა აზრით, პოზიტიურია უწყების შიგნით, **სხვადასხვა რგოლს შორის გამართული კომუნიკაციისა** და **მსჯელობის პრაქტიკა სიახლეების დანერგვის საჭიროებაზე.** ხშირად იგზავნება რეგიონულ განყოფილებებში პროექტები და ითხოვენ პოლიციელთა დამოკიდებულების გაზიარებას ამ საკითხებთან დაკავშირებით, ქუთაისში ფოკუსჯგუფის მონაწილემ აღნიშნა, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემის გამარტივებაც ამგვარი მსჯელობის და გამოცდილების ანალიზის შედეგია. უკუკავშირი და მიმდინარე რე-

ფორმების განხილვა იმ ადამიანებთან, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მის დანერგვას, მისასალმებელია. მაგალითად, ზუგდიდში ფოკუს-ჯგუფის მონაწილემ სწორედ ამაზე ილაპარაკა: *„ვთქვათ, იგეგმება რაიმე ცვლილება კანონში, ყველას მოგვდის განსახილველად და უნდა გავუგზავნოთ ამ უწყებებს ჩვენი აზრი. მაგალითად, რა რისკები შეიძლება მოყვეს ამ ცვლილებას ადგილზე მუშაობის დროს, რას უნდა ველოდოთ, როგორი იქნება მოსალოდნელი ეფექტი. ასეთი რეჟიმით ვმუშაობთ მუდმივად“* (ფოკუს-ჯგუფი, ზუგდიდი).

კვლევის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს **სისტემაში ქალი თანამშრომლების რაოდენობის ზრდა,** განსაკუთრებით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ასევე **სტატისტიკის წარმოება**. სამართალდამცავთა თქმით, შემთხვევების შესახებ ინფორმაციას ბაზაში 24 საათის განმავლობაში ასახავენ.

თავი IV

მონიტორინგის პროცესში სამართალდამცავთა მიერ გამოკვეთილი გამოწვევები

4.1. გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევები და სამართალდამცავთა შენიშვნები

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში **რესპონდენტთა მცირე ნაწილმა თავი აარიდა უწყების წინაშე არსებულ გამოწვევებზე საუბარს.** მათი აზრით, შსს უმკლავდება პრობლემებს. ნაწილმა კი შედარებით ღიად ისაუბრა იმ სირთულეებზე, რომლებსაც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აწყდებიან.

სამართალდამცავებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ **ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს** მოსახლეობის ნაწილის მიერ **კანონის ცვლილებების არცოდნა, განსაკუთრებით რეგიონებში,** ასევე **საზოგადოების ცნობიერების და მგრძნობელობის დაბალი დონე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის მხრივ**. როგორც მოძალადისთვის, ასევე მსხვერპლისთვის. ხშირად მოულოდნელია, რომ ძალადობის პირველივე ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ მოძალადეს ცეხე ემუქრება. ასევე მოძალადეს არ აქვს ცოდნა იმის შესახებ, რომ მისი ძალადობრივი ქცევა კვალიფიცირდება, როგორც სერიოზული დანაშაული, დასჯადი ქმედება. *„საზოგადოების ინფორმირება ისევ ნომერ პირველი საკითხია და მთავარზე მთავარი. მოძალადეს სიტყვასიტყვით ვუხსნი, რას ნიშნავს ეს ორდერი, რომ არ უნდა მიეკაროს, რომ თუ დაარღვია, დაი-*

ჭერენ. ეს ყველაფერი ისეთი გაუგებარია მისთვის, ვერაფერს ვაგებინებთ. რას ჰქვია, ჩემს ცოლს არ მივუახლოვდე, შენ ვინ გეკითხებაო“ (ფოკუს-ჯგუფი, თერჯოლა).

საზოგადოების მენტალიტეტი, განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლებში, ურთულესი დაბრკოლებაა მსხვერპლი ქალებისთვისაც. ახლობლები, მეზობლები, შესაძლოა, ჩუმად თანაუგრძნობდნენ მსხვერპლს, მაგრამ თავს იკავებენ კონფლიქტში ღიად ჩარევისაგან. *„სოფელში მაინც ასე აზროვნებენ, რომ ოჯახი უნდა შეინარჩუნო, რომც მოგკლან, ამიტომ ასეთ ნაბიჯებს, პოლიციის გამოძახებას არ უჭერენ მხარს“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემა **სირთულეებს ქმნის გამოძიების პროცესშიც**. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ **ხშირია მსხვერპლის მიერ მიცემული ჩვენების შეცვლა** მეორე დღეს, რადგან აცნობიერებს, რომ მოძალადე შეიძლება დააკავონ. ასევე, სამწუხაროდ, **ქალები განიცდიან ოჯახის წევრების, ახლობლების, გარშემომყოფების ზეწოლას.** *„მსხვერპლი არ დგას მყარად თავის მიცემულ ჩვენებაზე, ეს ძალიან უშლის ხელს გამოძიებას“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, სენაკი).

საქმის გამოძიებისას **გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოების მიერ პოლიციასთან თანამშრომლობაზე უარი** ან **ანონიმურობის გარანტიის მოთხოვნა, ოფიციალურ ჩვენებაზე უარის თქმა.** მონიტორინგის პროცესში პოლიციელებმა აღნიშნეს, რომ იცავენ გამხელისგან ძალადობის ფაქტის შესახებ შემტყობინებლის ვინაობას, თუმცა, მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში, მაინც რთულია ჩვენების მიღება.

კვლევის მონაწილეთა აზრით, **სამინისტროს ძალისხმევა**

საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად არ არის საკმარისი, სოციალური რეკლამები არ არის ეფექტიანი. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ **აუცილებელია უფრო მეტი ძალისხმევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით,** რათა ადამიანებმა თავი არ აარიდონ შემთხვევების გამჟღავნებას, გამოიჩინონ მეტი სამოქალაქო თვითშეგნება და ითანამშრომლონ გამოძიებასთან, მაშინაც კი, როცა თვითონ არ არიან მსხვერპლები: *„ყველა მოქალაქეს რომ ჰქონდეს მსგავსი თვითშეგნება და რეკავდეს ძალადობის შემთხვევის გაგებისას, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა ასეთი სტატისტიკა. ამას ალბათ გარკვეული წლები დასჭირდება“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

მონიტორინგმა აჩვენა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა უმეტესად იძლევა საშუალებას, არსებობდეს იზოლირებული სივრცე მსხვერპლთან დაუბრკოლებელი მუშაობისთვის და ამ კუთხით სიტუაცია ბევრად გაუმჯობესებულია (მაგალითად, სენაკში). თუმცა, მიუხედავად ამისა, **სერიოზულ გამოწვევად რჩება რიგ სამმართველოებში მსხვერპლთან ან/და მოწმესთან სამუშაოდ სათანადო სივრცის არარსებობა** (მაგალითად: თერჯოლა, ზუგდიდი), რაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის როგორც დაზარალებულს, ასევე უწყების წარმომადგენლებს. სამართალდამცავებმა ხაზი გაუსვეს მსხვერპლი ქალებისა და არასრულწლოვნებისთვის სათანადო გარემოს შექმნის მნიშვნელობას, თუმცა ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. შედეგად, **ილახება კონფიდენციალობის ინტერესი, რთულდება დაზარალებულის ნდობის მოპოვება,** ეს უკანასკნელი **განიცდის დისკომფორტს, ზოგჯერ, მეორად ვიქტიმიზაციასაც კი,** რამაც, შესაძლოა, გამოძიების ჩიხში შესვლა ან ჩაშლა გამოიწვიოს, რადგან მსხვერპლი ცვლის, ან უარს ამბობს ჩვენების მიცემასა და ძალადობის დადასტურებაზე. ამ პრობლემას კარგად აცნობიერებენ სამართალდამცავებიც: *„ყველაზე დიდი პრობ-*

ლემა ის არის, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს სპეციალური ოთახი, სადაც შეიძლება მოხდეს მსხვერპლის დაკითხვა. როცა მსხვერპლი დაკითხვაზე შეგვყავს, ერთმანეთს ვაფრთხილებთ, ამ ოთახში არავინ შემოვიდეს. უკვე ყველამ იცის, რომ იქ მსხვერპლია. გარდა ამისა, ლანჩხუთი პატარა მუნიციპალიტეტია, ყველა ერთმანეთს იცნობს, ხშირად სახლში გამოკითხვის შემდეგ, ფაქტების დასაზუსტებლად ვიბარებთ პოლიციაში. სანამ მსხვერპლი ოთახში შემოვა, ცნობისმოყვარეთა მთელ არმიას გადის. თვითონ შენობაც აშინებთ. ეს არის ყველაზე დიდი დისკომფორტი მსხვერპლისთვის, უკვე დაზაფრულია, დაღლილია, გაღიზიანებულია და ეს ყველაფერი დაკითხვის დროს ცუდად მოქმედებს. რაც საბოლოოდ იმაში გამოიხატება, რომ მსხვერპლის დიდი ნაწილი ცვლის პირველ ჩვენებას“ (ფოკუს-ჯგუფი, ლანჩხუთი).

პოლიციაში გასაუბრებისას **განცალკევებული სივრცის არარსებობა ძალიან არასასიამოვნო ფაქტია მსხვერპლთათვის.** გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი ქალის გამოცდილებით დადასტურდა მყუდრო და კონფიდენციალური გარემოს არსებობა, სხვა შემთხვევებში კი მათ დამატებითი სტრესი განიცადეს: *„დაკითხვა მოხდა სამმართველოში. განცალკევებული სივრცე არ იყო და ეს იყო სერიოზული დისკომფორტი ჩემთვის, როგორც მსხვერპლისთვის. როცა პირადულ საქმეებზეა საუბარი, მსხვერპლს უნდა ჰქონდეს საშუალება, ისაუბროს განცალკევებულ სივრცეში. როგორია, როდესაც შენს პირად პრობლემებზე საუბრობ, ისედაც გიჭირს ამ თემაზე საუბარი და შენთან ერთად კიდევ ოთახში მყოფი 2-3 ადამიანი ისმენს ამ ყველაფერს“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ზუგდიდი). მძიმეა მეორე მსხვერპლის გამოცდილებაც: *„ვერ ვიტან განყოფილებაში მისვლას, მაგრამ რაღაც დეტალების დაზუსტების მიზნით მთხოვეს მისვლა. საშინელება იყო ეს ყველაფერი, ჩემზე ძალიან იმოქმედა. ასე მეგონა, ყველა მე მიყურებდა. ყველამ*

იცოდა, რომ მსხვერპლი ვიყავი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

გამოძიების პროცესში გამოწვევას წარმოადგენს **სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან ურთიერთობის ცოდნის ნაკლებობა**. რესპონდენტები იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ მსხვერპლი უნდა გამოკითხოს მისთვის კომფორტულ, მშვიდ გარემოში და თუ მოითხოვს, რომ ჩვენება მისცეს ქალ გამომძიებელს, ეს სურვილი აუცილებლად უნდა შეუსრულდეს. თუმცა ამ ტიპის ძალადობის მსხვერპლისთვის **არ აქვთ შესაბამისი კითხვარი,** რომელიც **ზუსტად გაითვალისწინებდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ინტერესებს** და **მორგებული იქნებოდა ასეთი დანაშაულების გამოძიების სპეციფიკაზე.** *„დაკითხვისთვის არსებობს სტანდარტული კითხვები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის რეკომენდაციაა, მაგრამ რამდენად მუშაობს, ეს სხვა საქმეა. ამ შეკითხვებით ვხელმძღვანელობთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ინტუიციითაც ვმოქმედებთ, გააჩნია სიტუაციას, გააჩნია მსხვერპლს და სტანდარტული შეკითხვები ყველასთან არ გამოდგება“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

გამოიკვეთა, რომ **პრაქტიკაში არის ჯვარედინი შემაკავებელი ორდერები,** როცა ერთი მხარე, რომელმაც მოაწყო კონფლიქტის პროვოცირება, გვევლინება დაზარალებულად. არსებობს შემთხვევები, როცა **მოძალადის მოთხოვნით მსხვერპლის წინააღმდეგ გამოცემული შემაკავებელი ორდერი გააუქმა სასამართლომ.** ეს მოძალადის სასარგებლოდ ორდერის გამოცემის ნეგატიური ტენდენცია, რაც სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა, არის საპირწონე ძველი პრაქტიკისა, როცა შემაკავებელი ორდერები რთულად გაიცემოდა. **პოლიციას უფრო ნათელი ინსტრუქცია უნდა მიეცეს, რათა** ისეთი მნიშ-

ვნელოვანი სიახლე, როგორიც **ორდერის გამოცემის გამარტივებაა, მსხვერპლის წინააღმდეგ მოძალადემ მანიპულაციურად არ გამოიყენოს.**

კვლევის მონაწილეებმა ასევე გამოკვეთეს გარკვეული სირთულე **შემაკავებელი ორდერის ფორმასთან დაკავშირებით** და **ისაუბრეს მისი დახვეწის საჭიროებაზე.** მათ აღნიშნეს, რომ ეს მექანიზმი, ძირითადად, ასრულებს თავის დანიშნულებას: უზრუნველყოფს მოძალადის შეკავებას და მსხვერპლის დაცვას, თუმცა ასევე მიუთითეს სხვადასხვა ცვლილების საჭიროებაზე, რაც პოლიციის მუშაობას უფრო ეფექტიანსა და მოქნილს გახდიდა. მათი თქმით, **სასურველია, ორდერის ფორმებშივე იყოს გათვალისწინებული შესაბამისი გრაფები და მიეცეთ უფლებამოსილება, მის საფუძველზე დააკავონ მოძალადე** წინააღმდეგობის გაწევისას, როცა ამის საჭიროება იქნება. დღეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისას პირს აკავებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე და ამისათვის **ცალკე ფორმების შევსება უწევთ, რაც არაპრაქტიკულია და ზედმეტ საქმეს აკისრებს პოლიციას.** ამასთან, სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრება ფინანსური ტვირთია ოჯახისთვის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ეკონომიკური ვალდებულებები მძიმე ზეგავლენას ისევ მსხვერპლ ქალსა და მის შვილებზე ახდენს. *„ხშირად გვიწევს ადმინისტრაციულით დაკავება, რადგან არ მემორჩილება, არდამორჩილებისათვის ცალკე სანქციები არის და 1000-ლარიანი ჯარიმის გადახდა ცალკე პრობლემაა ისედაც დამძიმებული სოციალური ფონის გადამკიდე. კარგი იქნება, შემაკავებელ ორდერს თან ჰქონდეს უფლება, რომ საჭიროებისამებრ მოხდეს მოძალადის დაკავება 1-2 დღით ფინანსური სანქციების გარეშე“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

რესპონდენტების შეხედულებები შემაკავებელი ორდერის მოქმედების დროსთან დაკავშირებით განსხვავებული იყო. ისინი ფიქრობენ, რომ ვადის განსაზღვრისას მეტი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. ნაწილის აზრით, ზოგჯერ ერთი დღეც კი საკმარისია მოძალადის დასაფიქრებლად, მეორე ნაწილს კი საჭიროდ მიაჩნია **ორდერის ერთ თვეზე უფრო ხანგრძლივი ვადით გამოცემის შესაძლებლობაც** არსებობდეს.

პოლიციელთა აზრით, **გამოწვევას წარმოადგენს მსხვერპლისთვის კომპლექსური სერვისების** მიწოდება მისთვის კომფორტულ გარემოში. საჭიროა **ისეთი ცენტრი შეიქმნას, სადაც მუდამ იქნება ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ასევე სხვა ტიპის სერვისის მიმწოდებელი**, რათა დაზარალებულისთვის შესაძლებელი იყოს დახმარების მიღება ერთ სივრცეში. მათი თქმით, განსაკუთრებით რეგიონებს წაადგება მსგავსი ინიციატივის განხორციელება.

ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა, რომ პოლიციელები (განსაკუთრებით, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები) სირთულეს აწყდებიან პრაქტიკაში და საჭიროდ მიიჩნევენ **სპეციალური ქვედანაყოფის ან განყოფილების შექმნას, რომელიც სპეციალიზებული იქნება მხოლოდ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით**, რადგან ამ კატეგორიის საქმეებს დიდი დრო და ყურადღება სჭირდება. სიჩქარის დროს, როცა სამართალდამცავებს, პარალელურ რეჟიმში, სხვა შემთხვევაზე რეაგირება უწევთ, შეიძლება, მნიშვნელოვანი დეტალი დარჩეს მხედველობის მიღმა, რაც ნეგატიურად აისახება მსხვერპლის მდგომარეობაზე. შსს-ს აქვს მსგავსი პრაქტიკა, მაგალითად, არსებობს სისხლის სამართლის ჯგუფი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე არ მუშაობს. როგორც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, **არსებობდა პოლიციის ყველა განყოფილებაში ოჯახში ძა-**

ლადობის ფაქტებზე მომუშავე სპეციალური განყოფილების შექმნის იდეა, რომელიც, სავარაუდოდ, დაფინანსების პრობლემის გამო არ განხორციელდა. რესპონდენტების თქმით, ამ საკითხზე მსჯელობა უნდა განახლდეს და შექმნის შემთხვევაში **ასეთმა ჯგუფმა უნდა იმოქმედოს კოორდინირებულად რეფერირების სისტემის სუბიექტებთან,** მათ შორის, სოციალურ მუშაკებთან, თავშესაფრებთან, სკოლებთან თანამშრომლობით. *„უნდა ვთქვათ, რომ ოჯახში ძალადობა იმდენად სპეციფიკური და რთული თემაა, მას ეკუთვნის ცალკე განყოფილება ყველა ქალაქში. თავისი საპატრულო ეკიპაჟით, ასევე საგამოძიებო სამსახურით. აქედან რომ გავალ, ქუჩაში სულ სხვა საკითხებს ვაწყდები. გამოძახებაზე რომ მივდივარ, არავინ უნდა მაჩქარებდეს, უბრალოდ დაწერე, გამოეცი და გამოდი, ეგრე არ ხდება, იქ მილიონი ფაქტორია“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

შსს-ს თანამშრომლებს ჰქონდათ **ტექნიკური შენიშვნაც:** პრაქტიკაში პრობლემა ექმნებათ მსხვერპლსა და მოძალადეს შორის სატელეფონო კომუნიკაციის აკრძალვის გამო. მათი აზრით, **უნდა გაიმიჯნოს მუქარის შემცველი ზარები და ჩვეულებრივი კონსტრუქციული სატელეფონო კომუნიკაცია,** რომელიც ზოგჯერ საჭიროა და მსხვერპლიც არ არის წინააღმდეგი. ამდენად, **უფრო ნათლად უნდა იქნეს ახსნილი, რა სახის კომუნიკაციაა დაუშვებელი:** *„შემაკავებელ ორდერში წერია, რომ სატელეფონო კომუნიკაცია აკრძალულია, გამოდის, რომ დარღვევა დაფიქსირდა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს არ არის მუქარის ან შეურაცხყოფის შემცველი. უფრო მეტად უნდა იყოს გაწერილი, როდის შეიძლება დარეკვა და რა შემთხვევაში ითვლება დარღვევად“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

მონიტორინგის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს **მსხვერპლის სოციალური დახმარების პროგ-**

რამების სიმწირეზე, რაც არ იძლევა შესაძლებლობას, მოძალადეზე ეკონომიკურად დამოკიდებულმა ქალმა თავი დააღწიოს ძალადობას. მათ ზუსტად შენიშნეს, რომ ალტერნატივის არარსებობა **იძულებულს ხდის მსხვერპლს, მოითმინოს მძიმე ყოფა:** *„მაგალითად, ქალს თავშესაფრის მერე სადმე რაიმე ფორმით სამსახურის შოვნა არ უნდა უჭირდეს. რა შიმშილს მოუკლავს და რაღა მოძალადე ქმარს. ამიტომაც ბრუნდებიან ისევ უკან“* (ფოკუს-ჯგუფი, ხონი).

სამართალდამცველებმა სავსებით სამართლიანად აღნიშნეს, რომ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას ბევრად ამცირებს **მოძალადის რეაბილიტაციის** და მისი **ქცევის კორექციის პროგრამების არარსებობა**. სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ითქვა, რომ მოძალადის გამოსწორებაზე ზრუნვის გარეშე რთული იქნება ძალადობის დამარცხება. პოლიციელებმა თავიანთი პრაქტიკიდან გაიხსენეს არაერთი შემთხვევა, როცა მოძალადე ვერ აცნობიერებდა თავისი ქმედების სიმძიმეს, არ ჰქონდა სინანული და მხოლოდ შემაკავებელი ორდერის პირობების ფორმალურად დაცვაზე იყო ორიენტირებული, რათა აერიდებინა, მისი აზრით, დაუმსახურებელი სასჯელი. პოლიციელთა აზრით, **მოძალადეს კანონის ძალით უნდა დაევალოს რეაბილიტაციის პროგრამის გავლა**, რადგან ნებაყოფლობითი რეაბილიტაცია შედეგის მომტანი არ იქნება. ასევე, რესპონდენტთა თქმით, ძალადობის ფაქტები იმატებს სოციალური ფონის დამძიმებისას, ამიტომ მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ **სიღარიბის აღმოსაფხვრელად მუშაობა, სოციალური პოლიტიკის დახვეწა** და **დასაქმება**. *„პრაქტიკაში მქონდა შემთხვევა: სამსახური დაკარგა, დალევა დაიწყო და საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლს დაუწყო ცემა და ეს სისტემატურად გრძელდებოდა. ასეთ ადამიანს სჭირდება რეაბილიტაცია. სახელმწიფო სხვანაირად უნდა ეხმარებოდეს, დასაქმების პროგრამები სჭირდება ასეთ ხალხს, ციხე კი არა,*

დაჭერა პრობლემას ვერ გამოასწორებს, დასაქმებამ კი შეიძ-ლება ის მთავარი მიზეზი აღმოფხვრას, რის გამოც ძალადობა ხდება“ (ფოკუს-ჯგუფი, ხონი).

გამოკითხული მსხვერპლების შეხედულებები ამ კუთხით სრულიად ემთხვევა პოლიციის მოსაზრებებს. ისინი მიიჩნევენ, რომ **სარეაბილიტაციო ღონისძიებების, ქცევის კორექციის პროგრამების გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია მოძალადის ცნობიერების შეცვლა.** ამ პირობებში მსხვერპლები სრულყო-ფილად დაცულად არ გრძნობენ თავს და აწუხებთ ლეგიტიმუ-რი კითხვები: **რა იქნება, როცა მოძალადე გამოვა ციხიდან?** ან **გავა შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა?**

4.2. გენდერული სტერეოტიპების ასპექტში გამოკვეთილი გამოწვევები

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ **დაზარალებუ-ლებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ გამომძიებ-ლის სქესის მიმართ,** თუმცა, განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, კვლევამ ნათლად აჩვენა, მსხვერპლთა უმეტესო-ბა, როგორც წესი, **ქალ სამართალდამცველთან ურთიერთო-ბას ამჯობინებს.** შესაბამისად, ფსიქოემოციური მდგომარეო-ბიდან და საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აირჩიონ, ვისთან სურთ საუბარი. **სისტემამ ქალი გამომძიებლის არარსებობით ან ნაკლებობით დაზარალებულს დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას.** შესაბამი-სად, კვლევამ ცხადყო მეტი ქალი ინსპექტორ-გამომძიებლის საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, სისტემაში **ქალი თანაშრომლების რიცხვი** გაიზარდა, **გამოწვევად რჩება ის, რომ ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება კაცე-ბის რაოდენობას.**

სამართალდამცავთა თქმით, არსებობენ პროფესიონალი კაცები, რომლებიც პირნათლად ასრულებენ მოვალეობას, მაგრამ ოჯახში ძალადობა საჭიროებს ქალი გამომძიებლების ჩართულობას. ხშირად, **მსხვერპლისთვის პოლიციელის კვალიფიკაციასაც კი არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ქალი იყოს,** რადგან მას ენდობა, მას უზიარებს თავის წუხილს. ამას სამართალდამცავთა უმეტესობის პრაქტიკა ადასტურებს: *„არის რაღაც, რასაც ვერ შეისწავლი, ვერ აითვისებ, რაც მხოლოდ ქალს აქვს. და ეს არის, პირველ რიგში, მსხვერპლის როლში ადვილად შესვლა, მისი ტკივილის გათავისება“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

მონიტორინგის მონაწილეთა ნაწილს განსხვავებული გამოცდილება აღმოაჩნდა. მათი თქმით, როდესაც გამოძახება ხდება ოჯახში ძალადობის ფაქტზე, ადგილზე მიდის ქალი (რასაკვირველია, ქალი თანამშრომლის არსებობის შემთხვევაში) და მამაკაცი პოლიციელი. სტანდარტულად, ქალი მუშაობს მსხვერპლთან, მამაკაცი კი დაკითხავს მოძალადეს. **ზოგჯერ მსხვერპლები მამაკაც გამომძიებლებს არჩევენ, ასე მეტ დაცულობას გრძნობენ,** რადგან ხანდახან იმდენად აგრესიულია მოძალადე, შესაძლოა, ქალ პოლიციელს გამკლავება გაუჭირდეს.

შსს-ს თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ სათანადო კვალიფიკაცია გააჩნია ქალსაც და კაცსაც, მაგრამ აღიარებენ, რომ **ქალი დაზარალებულები მაინც მეტად ენდობიან თავისივე სქესის გამომძიებელს.** იყო განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გენდერულად ნეიტრალური მიდგომა არ არის დამაბრკოლებელი. მაგალითად, ერთ-ერთმა გამოკითხულმა პოლიციელმა აღნიშნა: *„ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ არ გახსნილა მსხვერპლი. როცა დავუჯდები და ავუხსნი, რომ მე ვარ მოსული დასახმარებლად, თუ*

გინდა, რომ დაგეხმარო, შენ მე უნდა დამეხმარო და მითხარი, როგორც იყო და რანაირადაც იყო. მიყვება ყველაფერს. თუმცა ჰქონია თანამშრომლებს შემთხვევა, რომ არ გახსნილა მსხვერპლი“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

რესპონდენტთა უმეტესობა **სათუოდ არ მიიჩნევს ქალი გამომძიებლების დამატების აუცილებლობას.** გამოვლინდა უფრო **რადიკალური პოზიციაც:** *„მგონია, რომ ეს პროფესია სუფთა ქალურია, თვითონ ძალადობა ოჯახში იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ქალები ამ საქმეში ბევრად უკეთესი იქნებოდა“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ **პოლიციაში, ასევე ზოგადად სამართალდამცავ სისტემაში არსებული მასკულინური გარემო,** სამართალდამცავთა მიერ **გაკიცხვის შიში აბრკოლებს ქალს,** მიმართოს მათ დახმარებისთვის. პოლიცია, მსხვერპლთა უმეტესობის აღქმაში, მაინც მასკულინური, კაცური გარემოა. **საჭირო**ა **მეტი მუშაობა ამ მიმართულებით, გამოწვევათა დასაძლევად, სტერეოტიპების, ყალბი წარმოდგენების დასანგრევად**. აღნიშნული პრობლემა ნათლად გამოიკვეთა მსხვერპლებთან ინტერვიუს დროსაც: *„სულ სხვა გარემოა, სულ მამაკაცები, სულ კანონები. დაძაბული ვიყავი, რამე ზედმეტი არ წამომცდეს-მეთქი. ბევრი რამე შეიცვალა, მაგრამ ყველას ასე ჰგონია, რომ მამაკაცი მამაკაცის მხარესაა. მე, მაგალითად, დღემდე ასე მგონია. ყველა დამეხმარა, პოლიცია მხარში მედგა ბოლომდე, მაგრამ გულში სხვას ფიქრობენ მგონია. სულ მგონია, რომ ჩემს ისტორიასაც სადღაც ვიღაცასთან სიცილით მოყვებიან. ეს ძალიან დამამცირებელია. ანუ, ბოლომდე პოლიციას არ ვენდობი და ასე ბევრი ფიქრობს“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

გენდერულ გამოწვევასთან კავშირშია ის ფაქტიც, რომ კაცების მიერ დომინირებულ სფეროში, რიგ შემთხვევებში, სამართალდამცავები სოლიდარობის მახინჯ პრაქტიკას მიმართავენ თავისივე სქესის კოლეგების მიმართ. ამდენად, **შსს-თვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სისტემის თანამშრომელ მოძალადეებთან ბრძოლა და მსხვერპლის სათანადოდ დაცვა.** სიტუაციას ამძიმებს ის, რომ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი მოძალადის თანამშრომლები გამოძიების პროცესში მიკერძოებულნი არიან მის მიმართ. სწორედ ამაზე მიუთითეს წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა მსხვერპლებმა: *„მისი [მოძალადის] მხარე ჰქონდა ყველას. შევატყვე, რომ მის მხარეს იკავებდნენ. პოლიციაში ჩვენების მისაცემად რომ მივედით, ვიღაცამ დაურეკა გამომძიებელს, როდესაც ჩვენ გვესაუბრებოდა, იმ ვიღაცამ უთხრა: „რამე არ ჩაწეროთ ისეთიო“, საუბრიდან გამომდინარე მივხვდი ამ ყველაფერს. არ ეწერა ის, რომ შეურაცხყოფა მიაყენა [დედაჩემს], შეუვარდა და ა.შ. პოლიციელმა მითხრა, შენ გინდა, რომ შენი შვილების მამა დაიჭირონო? შემაკავებელი ორდერის გამოწერა რომ მინდოდა, ყველა არიდებდა თავს, შენ გამოწერე, შენ გამოწერეო... ყველა გარბოდა ამ დროს, ჩემი მეუღლე თანამშრომელია და ყველა არიდებს თავს, რომ მას რამე არ დაუშავდეს“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ზუგდიდი).

მსხვერპლების მიერ წინამდებარე კვლევის ფარგლებში აღწერილი შემთხვევები აჩვენებს, რომ **პოლიციას ორმაგი სტანდარტი აქვს** და **სისტემის თანამშრომელი მოძალადის შემთხვევაში** შედარებით ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენს. ძირითადად, ეს გამოიხატება **ფაქტის სიმძიმის დამალვასა** და **საქმის გარემოებების ტენდენციურ აღწერაში.** ასევე **სერიოზული პრობლემაა სამართალდამცველების მიერ მათი ნათესავი ან მეგობარი მოძალადისათვის ხელის დაფარების მცდე-**

ლობები. პოლიციელები ზოგჯერ სცდებიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებს და **„შემრიგებლის“ როლის მორგებას ცდილობენ,** რაც, რასაკვირველია, მოძალადისადმი მიკერძოებისა და მისი ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევის გამოხატულებაა. პრობლემის სიმწვავეს ნათლად აჩვენებს მსხვერპლთა მონათხრობი: *„იყო ბავშვებით მანიპულაციის ფაქტი. თავიდან პოლიციელებმაც თქვეს, რომ ეს იყო ზეწოლა ბავშვებზე, გაგიჟებული იყო ყველა მეზობელი. მე არ ვიცი, მერე რა დაწერეს, როცა ჩვენთან იყვნენ მოსულები, უცებ ჩემი ყოფილი ქმრის ბიძაშვილი მოვიდა, რომელიც პოლიციის უფროსია, იმან რა დააწერინა, არ ვიცი და წავიდნენ...“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

„ჩემთან არ ყოფილა მსგავსი ამბავი, მაგრამ როგორ არ მსმენია. თვითონ პოლიციელები მოძალადეს რომ ამხნევებდნენ, ასეთი შემთხვევა ჩემს მამიდაშვილს შეემთხვა. გამომძიებელი მისი ქმრის კლასელი იყო. არ გინდა ოჯახის დანგრევა, კარგი ბიჭია, ერთხელ შეეშალა და აპატიეო - პოლიციელი ეუბნებოდა და იმდენი გააკეთა, ვითომ შეარიგა მისი ჭკუით. მერე ისევ იგივე გააკეთა (მოძალადემ) და ახლა განქორწინებულია“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

გადამზადების არაერთი პროგრამისა და ტრენინგის მიუხედავად, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ **შემაშფოთებლად დაბალია ზოგიერთი პოლიციელის გენდერული მგრძნობელობა** და **პროფესიონალიზმის ხარისხი**. ამგვარ ფაქტებს **ღრმა გავლენა აქვს მსხვერპლზე,** ხშირად ტრავმული გამოცდილება მძიმე დაღს ასვამს მას: *„ჩემი მულის ქმარი პოლიციელია და სიტუაციის განმუხტვისთვის ხშირად იძახებდნენ ოჯახში. ის პერიოდულად აფრთხილებდა მოძალადეს, რომ ძალიან გამკაცრდა კანონები. თვალშისაცემი იყო ორმაგი სტანდარტები: მერე დაიწყებდა ძალადობის ფაქტებზე ამბების მოყოლას და*

ისეთი ირონიით ყვებოდა ქალებზე, ყველანი იცინოდნენ. ეს მომენტი დღესაც ცუდად მოქმედებს ჩემზე" (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

შსს **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში** ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურაა, შესაბამისად, მის **სისტემაში გამოვლენილ გამოწვევებს განსაკუთრებით მძიმე გავლენა აქვს ამ ბრძოლის ეფექტიანობაზე.** ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სწრაფი და ადეკვატური რეაგირება ასეთი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

4.3. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გამკაცრების წინააღმდეგობები პრაქტიკაში

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ **კანონის გამკაცრებას** (ძალადობის პირველი შემთხვევისთანავე სისხლის სამართლებრივ რეაგირებას, თუ ქმედებაში დანაშაულის ნიშნებია) **პოზიტიურთან ერთად გარკვეული, წინააღმდეგობრივი ეფექტიც აქვს,** განსაკუთრებით - საწყის ეტაპზე, როცა საზოგადოების ყველა წევრამდე არ მისულა ინფორმაცია სიახლეების შესახებ. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, **მკაცრი და უკომპრომისო მოქმედება ძალადობის წინააღმდეგ არის აუცილებელი,** ნაწილი კი მიიჩნევს, რომ **ამან შეიძლება დააბრკოლოს მსხვერპლი** და არ გაამჟღავნოს ძალადობის ფაქტი, რადგან ციხისთვის ვერ იმეტებს ოჯახის წევრ მოძალადეს. **პრობლემას ამწვავებს საზოგადოების მოუმზადებლობა.**

პოლიციელთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ **მსხვერპლებს,** ძირითადად, **„მოძალადის შეშინება" სურთ** და **თავისუფლე-**

ბის აღკვეთის ან მძიმე სასჯელების გამოყენების წინააღმდეგნი არიან. *„შეშინება მინდოდა, დაჭერა კი არაო. ხშირად ისმის ასეთი ფრაზები“* (ფოკუს-ჯგუფი, ქუთაისი). სამართალდამცავები შიშობენ, რომ მკაცრი ღონისძიებების გამოყენების ალბათობა მსხვერპლს დააფრთხობს, ჩვენებას შეაცვლევინებს, ან საერთოდ უარს ათქმევინებს შსს-თვის მიმართვაზე. ასევე, რესპონდენტთა აზრით, მძიმე სოციალური ფონი ამწვავებს პრობლემას, განსაკუთრებით, როცა მოძალადე ოჯახის მარჩენალია. ასეთ შემთხვევებში, პოლიციის მკაცრი რეაგირებისას, მსხვერპლთა აგრესია გადადის სამართალდამცავებზე და მას მოკავშირის ნაცვლად, მტრად აღიქვამენ. *„ინფორმაციის დეფიციტი გვაქვს. მსხვერპლიც და მოძალადეც ამ ცვლილებას აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა, ვერ წარმოიდგენ, როგორი აფორიაქებულია მსხვერპლი, როცა ვუხსნით, რომ მეუღლე უნდა დავაკავოთ. მაქსიმალურად დეტალებში ვუხსნით ყველა წვრილმანს, რომ ეს არის დროებითი და მისთვის ხელსაყრელია დაცულობის კუთხით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ცვლიან ჩვენებას: არა, რა სისულელეა, რატომ უნდა დააკავოთ? და მერე აგრესიულები პოლიციელების მიმართ ხდებიან. თქვენ გინდათ დააკავოთ, მერე ვინ არჩენს ჩემს შვილებს? ასე ჰგონიათ, რომ ამას პოლიცია აკეთებს მისი ნებით. კანონში რა წერია, რა ცვლილება შეიტანეს, ეს ნაკლებად აღელვებთ“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

თუმცა კვლევის მონაწილეთა ნაწილი **მხარს უჭერს მკაცრ პოლიტიკას.** მათი თქმით, მიმართვიანობა არ შეცვლილა. ასევე აუცილებელია მოძალადემ იცოდეს, რომ სერიოზული სასჯელი ემუქრება ქალთა მიმართ ან ოჯახში ძალადობის ჩადენის შემთხვევაში. *„მე არ ვთვლი, რომ კანონის გამკაცრებამ შეაფერხა ან შეამცირა მომართვის რაოდენობა“* (ფოკუს-ჯგუფი, ქუთაისი). *„ადრე ხელწერილები იყო, ის ხომ საერთოდ*

არაფერს ნიშნავდა და არ მუშაობდა, მერე შემაკავებელიც არ მუშაობდა ისე ეფექტიანად, როგორც ახალი ცვლილება. ჩემი აზრით, კარგია გამკაცრება, შეშინდნენ უფრო მოძალადეები (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ **ცვლილებები თავიდან იწვევს წინააღმდეგობებს პრაქტიკაში, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება, მეტი დადებითი ეფექტი ექნე**ს. ადრე თუ გვიან ინფორმაცია გავრცელდება და როცა ყველას ეცოდინება, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა უბრალო შემთხვევა არ არის და მოძალადეს თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ამგვარი ფაქტები შემცირდება. ამდენად, სამართალდამცავთა აზრით, მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხის ზრდის პარალელურად, უფრო ნათლად გამოჩნდება ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მკაცრი პოლიტიკის ეფექტიანობა. *„ნებისმიერ ცვლილებას საზოგადოება ხვდება არცოდნით. ალბათ, გარკვეული პერიოდი უნდა გავიდეს, რომ ეფექტიანობაზე ან ნაკლებეფექტიანობაზე ვისაუბროთ“* (ფოკუს-ჯგუფი, ზუგდიდი).

კვლევის მონაწილეთა შეფასებით, **რისკის შეფასების ინსტრუმენტი, უმეტესად, საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს კონფლიქტი,** მაგრამ **არსებობს რთული შემთხვევებიც,** მაგალითად, თუ პირი ნასამართლევია, მსუბუქი სიტყვიერი შელაპარაკებაც კი მექანიკურად იწვევს მისთვის მაღალი ქულების მინიჭებას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. კვლევის მონაწილეთა ნაწილის მოსაზრებით, ეს საკითხი სერიოზულ გაანალიზებას მოითხოვს.

ასევე, რესპონდენტთა აზრით, წინააღმდეგობრივია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, **წყვილის შერიგების შემთხვევაში, ორდერის პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა**

დგება. ეს პოლიციას უქმნის პრობლემას. შესაძლოა, სამართლდამცავი ხედავს, რომ წყვილი ნამდვილად შერიგდა, ძალადობის განმეორების რისკი მცირეა და მათ ერთობლივი თანაცხოვრება სურთ, მაგრამ შემაკავებელი ორდერის პირობებში მოძალადეს აკრძალული აქვს მსხვერპლთან მიახლოება. ასეთ შემთხვევებს გაანალიზება სჭირდება და, შესაძლოა, შსს-ს თანამშრომელს მოქნილად მოქმედების მეტი საშუალება მიეცეს, რათა კონკრეტული სიტუაციის და რისკის მიხედვით იმოქმედოს. ამ მხრივ ნათელი ინტრუქციების არსებობა გაამარტივებდა პოლიციის მუშაობას.

ხშირად საზოგადოებაში **მსჯელობის საგნად იქცევა,** ძალადობის შემთხვევისას, **მოძალადის ნაცვლად მსხვერპლის გამორიდების პრაქტიკა.** სახლის დატოვება ბავშვებით და სხვაგან გადასვლა მართლაც დიდი სტრესია როგორც მსხვერპლის, ასევე მისი შვილებისათვის, მაშინ როცა მოძალადეს საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დისკომფორტი არ აქვს, რაც გარკვეულწილად მოძალადის სასარგებლოდ მოქმედებას ჰგავს. თუმცა **მსხვერპლთა უმრავლესობამ კვლევისას განაცხადა, რომ თავადაც ურჩევნიათ სახლიდან წასვლა.** ეს, ძირითადად, იმ **მავნე სოციალური პრაქტიკის შედეგია,** რომლის მიხედვითაც **ქალები საკუთრებას, განსაკუთრებით უძრავ ქონებას იშვიათად ფლობენ.** ისინი ჯერ მშობლების, შემდეგ კი ქმრის ოჯახის სახლში ცხოვრობენ. ამ მიმართულებით საზოგადოების, მათ შორის მსხვერპლების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა აუცილებელია. *„საერთოდ, ზოგადად, ყველა ნორმალური ქალი ასე გააკეთებს, იმიტომ რომ ჩვენს მენტალიტეტში არ ჯდება ასეთი რაღაც. შემეძლო იქ დარჩენა, მაგრამ ვერ დავრჩებოდი იქ შვილების გამოც. რაღაც ამორალობა მგონია. მე არა ვარ ასე გაზრდილი და რა ვქნა“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქუთაისი).

პოლიციელებს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული **სიახლეების დანერგვისას კარგად შეუძლიათ რისკების და წინააღმდეგობების იდენტიფიცირება.** ამიტომ მათი ხედვები საყურადღებოა. პრაქტიკაში გამოვლენილი წინააღმდეგობების გაანალიზება და ამის საფუძველზე შესაბამისი მიდგომების დანერგვა და მოქმედების გატარება მომავალში ძალადობის საწინააღმდეგო პოლიტიკის მეტი წარმატებით განხორციელების გარანტიაა. აუცილებელია, **სახელმწიფომ სიმკაცრესთან ერთად** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას დაუპირისპიროს **პრევენციაზე, ზიანის შემცირებაზე ორიენტირებული მიდგომა** და **დანერგოს ძალადობის წინააღმდეგ გრძელვადიანი და მასშტაბური ღონისძიებები**, მაგალითად, მოძალადის რეაბილიტაციის პროგრამები, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, იმსახურებს სამართლიან სასჯელს, ხოლო, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის ობიექტი - გამოსწორების შანსს. თავის მხრივ, მოძალადის რეაბილიტაცია ძალადობრივი შემთხვევების განმეორების რისკის შესამცირებლად და მსხვერპლის უკეთ დასაცავადაც აუცილებელია.

თავი V

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კოორდინაცია რეფერირების მექანიზმის სხვა რგოლებთან

კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ **აქტიურად თანამშრომლობენ რეფერირების სისტემის სხვა სუბიექტებთან,** იღებენ მათგან ინფორმაციას მსხვერპლის, ძალადობის ფაქტის შესახებ. გამოიკვეთა, რომ **სამედიცინო პერსონალი შედარებით გააქტიურდა ამ კუთხით.** პოლიციას პრაქტიკაში ჰქონია შემთხვევები, როცა ექიმებმა დააფიქსირეს ოჯახში ძალადობა და მიმართეს სამართალდამცავებს.

რესპონდენტებმა მიუთითეს ასევე **რეფერირების სიტემის ზოგი რგოლის სისუსტეზე** განსაკუთრებით აღინიშნა ადგილობრივი **თვითმმართველობის თანამშრომელთა მხრიდან მეტი ძალისხმევის გაწევის აუცილებლობა**, **სოფლის რწმუნებულების ჩართულობის უზრუნველყოფა** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრობლემაა თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც. ვერ ხერხდება ჯეროვნად ამ პროგრამების სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციის მიტანა დაინტერესებულ პირებამდე. სამართალდამცავების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა **თვითმმართველობას აქვს მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, მაგრამ მოქალაქეები ინფორმირებულნი არ არიან**

ამის შესახებ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა: *„უნდა დაინტერესდეს თვითმმართველობა ჩვენთან თანამშრომლობით. მე კი ვაკეთებ ამის ინფორმირებას, მაგრამ ჩემამდე უნდა ჰქონდეს მსხვერპლს ინფორმაცია, რომ ასეთი სერვისი არსებობს და მიმართვის შემთხვევაში შეუძლია ბინით უზრუნველყოფა. ინფორმაციის გაცვლა არ ხდება“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ისეთი შემთხვევაც, როცა უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობის გამო ერთი უწყების თანამშრომლებმა არ იციან, რა პროგრამას ახორციელებს მეორე ორგანო. მაგალითად, სენაკელი პოლიციელისათვის უცნობი იყო, რომ მის მუნიციპალიტეტში არის მსხვერპლის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა. **რეფერირების მექანიზმის რგოლებს შორის მჭიდრო კოორდინაციის არარსებობა კიდევ უფრო ამცირებს მსხვერპლის სათანადოდ ინფორმირებისა და მისი დახმარების შესაძლებლობას.**

ერთ-ერთ **სუსტ რგოლად დასახელდა სკოლა,** სადაც არის ბულინგის შემთხვევები, არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულება ამაზე თვალს ხუჭავს. ზოგიერთ სკოლას საერთოდ დახურული აქვს სივრცე და არ უშვებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც თანამშრომლობა სურთ. გამოკითხულ მსხვერპლთა შეფასებითაც, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის სკოლის, როლი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში პასიურია.

სამართალდამცავთა მიერ რეფერირების სუბიექტებს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითად დასა-

ხელდა **განათლების სამინისტროსა და შსს-ს ერთობლივი პროექტი სამოქალაქო განათლების კუთხით**, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და ამ მიმართულებით პოლიციის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგის მონაწილეებმა გამოხატეს წუხილი, რომ ყველა სკოლა არ არის ჩართული მსგავს აქტივობაში. ისინი საჭიროდ მიიჩნევენ ამ საპილოტე პროექტის გაგრძელებას: *„სკოლაში მოზარდებს ვასწავლით სამართლის კულტურას. კვირაში ერთი გაკვეთილი ბევრ რამეს აძლევს საგანმანათლებლო კუთხით, ძალიან კარგი პროექტია. ასეთი საგანმანათლებლო პროექტები სხვა კლასებშიც რომ იყოს, მივესალმებოდი“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ლანჩხუთი).

კვლევამ აჩვენა, რომ **რეგიონებში ძალზე მწვავეა პროფესიონალი კადრების ნაკლებობა.** ეს დეფიციტი განსაკუთრებით ეხება სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს. მაგალითად, ლანჩხუთში მხოლოდ ერთი სოციალური მუშაკია. გურიაშიც ერთი ფსიქოლოგია. კადრების ნაკლებობა, ერთი მხრივ, ამცირებს რეფერალურ რგოლებს შორის კოორდინირებული მუშაობის შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, ძალადობაზე შესაბამისი რეაგირების ხარისხს და ეფექტიანობას.

პოლიციას ყველაზე აქტიური ურთიერთობა სოციალურ მუშაკებთან აქვს. გამოკითხულმა მსხვერპლებმაც მიუთითეს, რომ პოლიციის გარდა, ძირითადად, სოციალურ სააგენტოსთან ურთიერთობენ. კოორდინაციის სისტემა, მათი შეფასებით, მეტ-ნაკლებად ქმედითია. დაფიქსირდა მკვეთრად უარ-

ყოფითი გამოცდილებაც: *„პოლიციამ გამოიძახა სოციალური სამსახური, მაგრამ არავინ არ მოსულა. ჩემს შემთხვევაში კოორდინაცია არ იყო ეფექტიანი“* (ჩაღრმავებული ინტერვიუ, ზუგდიდი).

რესპონდენტებს მკაფიო პოზიცია ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ **აუცილებლად უნდა დაიხვეწოს თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის ხარისხი რეფერირების სუბიექტებს შორის.** ეს კი უნდა მოხდეს პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების და ვალდებულებების გააზრებით და ინფორმაციის გაცვლით, მსჯელობით.

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს **ადგილობრივი კოორდინაციის რგოლის საჭიროებაზეც, რომელიც შექმნის ფორმალურ და არაფორმალურ სივრცეს დიალოგისთვის, არსებული გამოწვევების გამოსავლენად და რეაგირების ეფექტიანი სტრატეგიის შესამუშავებლად.** კვლევის მონაწილეთა თქმით, ასეთი სივრცის ორგანიზება ხელეწიფებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს. რამდენიმემ სტრუქტურათშორისი დიალოგის მაგალითად დაასახელა **ფონდი „სოხუმის“ მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ორგანიზებული ტრენინგები, მრგვალი მაგიდები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ემსახურებოდა რეფერალურ სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას.** აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფდა რეფერალური მექანიზმების სხვადასხვა სუბიექტის შესაძლებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ემსჯელათ არსებულ პრობლემებზე, საკანონმდებლო ხარვეზებზე, პრაქტიკაში კანონის იმპლემენტაციის გამოწვევებზე.

სამართალდამცავთა აზრით, **რეფერირების სუბიექტებს შორის კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა** რომელიმე სტრუქტურამ **უნდა აიღოს,** მაგალითად, **ადგილობრივმა ორგანოებმა,** მერიამ. რესპონდენტებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს **სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაც**. გამოკითხული პოლიციელები კარგად აცნობიერებდნენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კომპლექსური პრობლემის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით ბრძოლის აუცილებლობას. როგორც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ სავსებით მართებულად აღნიშნა: *„მარტო პოლიცია ვერ ამოძირკვავს ძალადობას და ამ პრობლემას ვერ დაამარცხებს, თუ თანამშრომლობა არ იქნა სხვა სექტორებთან“* (ფოკუს-ჯგუფი, ხონი).

თავი VI

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე მონიტორინგმა გამოავლინა ის **თვალსაჩინო პროგრესი, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიაღწია.** გაზრდილია ნდობა სისტემის თანამშრომლების მიმართ, გაუმჯობესებულია მათი კვალიფიკაცია და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, გენდერული მგრძნობელობა. შსს სერიოზულ ძალისხმევას იჩენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემაზე რეაგირების კუთხით. **უწყება გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის კომპლექსურ პოლიტიკას ატარებს**, მათ შორის **უზრუნველყოფს უკუკავშირს თანამშრომლებთან,** რათა მათგან მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია არსებულ ხარვეზებზე, საჭიროებებზე, დანერგილი მექანიზმების მოქნილობასა და პრევენციის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებზე. აღნიშნული პრაქტიკა, უდავოდ, მისასალმებელია, რადგან შესაძლებლობას იძლევა, ის დიდი ინფორმაცია და გამოცდილება, რაც შსს-ს თანამშრომლებს ადამიანებთან უშუალო მუშაობის პროცესში უგროვდებათ, ადეკვატურად აისახოს სამინისტროს საერთო პოლიტიკაში, რაც მას, საბოლოო ჯამში, უფრო მოქნილსა და საზოგადოებაზე ორიენტირებულს ხდის. ასევე **უწყება მხარს უჭერს თავის წარმომადგენელთა კოორდინაციას რეფერირების დანარჩენ სუბიექტებთან** და **ჩართულია ცნობიერების ამაღლების კამპანიებში.**

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ **შსს-ს გამოკითხულმა თანამშრომლებმა აჩვენეს სიახლეების მიმართ მიმღებლობა,**

მაღალი მოტივაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე დისკუსიისთვის, მზადყოფნა - გაუზიარონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს, ასევე - კოორდინირებული საქმიანობის და ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვის სურვილი.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ სამართალდამცავები მიესალმებიან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე საგანმანათლებლო ტრენინგების ინტენსიურობას, მაგრამ, მათი აზრით, კიდევ **მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა გადამზადების პროგრამა ყველას შეეხოს და არ დარჩეს პოლიციელი ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე.** ასევე რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უნდა **ცოდნის გაღრმავება** და **უფრო სპეციფიკური ტრენინგების გავლა,** რათა წარმატებით გაუმკლავდეს რთულ შემთხვევებს პრაქტიკაში. მათი თქმით, სასურველია ისეთი სასწავლო კურსის შეთავაზება, როგორიცაა: მოძალადის ფსიქოტიპის შესწავლა, ძალადობრივი ქმედების მოტივების ანალიზი, რათა უკეთ შეძლონ რეაგირება და საფრთხესთან გამკლავება.

კვლევის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს **მულტიდისციპლინური სწავლების საჭიროება რეფერალური სუბიექტების ჩართულობით**. პოლიციელთა აზრით, სასწავლო და გადამზადების კურსები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ რეფერალური სუბიექტებისთვის ერთიანი სქემით უნდა განხორციელდეს და ყველას უფლება-მოვალეობა გარკვეული იყოს. აგრეთვე სასურველად მიაჩნიათ ერთობლივი ტრენინგების ჩატარება იმ ადამიანთა ჩართულობით, ვისაც მსხვერპლის დახმარება ევალება და შეუძლია. მათი თქმით, ეს გააუმჯობესებს კოორდინაციის ხარისხს და გაზრდის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას.

სამართალდამცველებმა მიუთითეს, რომ მნიშვნელოვანია **კანონის დამკვიდრების პრობლემების** და მის **აღსრულებაში მონაწილე ადამიანების გამოცდილების ანალიზი.** რესპონდენტთა უმეტესობის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დამწყები თანამშრომლებისთვის, ბევრად ღირებულია ისეთი ფორმატის შეხვედრები, სადაც განხილული იქნება **ძალადობის მართვის კუთხით არსებული პრაქტიკა, მოქმედ მექანიზმებში არსებული ხარვეზები, მუშაობის პროცესში გამოვლენილი გამოწვევები.** რესპონდენტთა აზრით, ამ ტიპის შეხვედრების ინტენსივობა აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

ამავე დროს, მიღწეული პროგრესის ფონზე, კვლავ **რჩება გარკვეული გამოწვევები,** რასაც დროულად და ადეკვატურად უნდა გაეცეს პასუხი, მათ შორის, **პოლიციელთა კვალიფიკაციის საკითხი, ინფრასტრუქტურული პრობლემები,** რამაც **მეორადი ვიქტიმიზაციაც** შეიძლება გამოიწვიოს. ყურადღება უნდა მიექცეს **სისტემის თანამშრომლის მიერ ჩადენილ ძალადობაზე რეაგირებისას უმაღლესი სტანდარტების დაცვას,** ასევე **გენდერულად სენსიტიური მიდგომის დანერგვას გამოძიების პროცესში,** მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სათანადო მგრძნობელობით მოპყრობას. საჭიროა, **საზოგადოებასთან**, განსაკუთრებით რეგიონებში, **ურთიერთობის, თანამშრომლობის გაუმჯობესებასა** და **პოლიციისადმი ნდობის ამაღლებაზე ზრუნვა. არასრულწლოვანი გოგონების დაცვა** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმისაგან სახელმწიფოსა და შსს-თვის **განსაკუთრებულ პრიორიტეტად უნდა იქცეს.**

მონიტორინგისას გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად **აუცილებელია**
შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მთავრობამ და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ **მეტი უნდა იმუშაოს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;

- აუცილებელია, **გაგრძელდეს შსს-ს თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა,** ასევე **პოლიციისადმი ნდობის, საზოგადოებაში მისი რეიტინგის გაზრდაზე მუშაობა;**

- სასურველია, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის **პოლიციაში შეიქმნას სპეციალიზებული დანაყოფი,** ასევე **გაიზარდოს სისტემაში ქალი თანამშრომლების რაოდენობა;**

- აუცილებელია შსს-ს ადგილობრივი სამსახურების აღჭურვა, **ინფრასტრუქტურის გამართვა**, რათა პოლიციას შეეძლოს შესაბამის პირთან გასაუბრება და ჩვენების მიღება კონფიდენციალურად, იზოლირებულ სივრცეში;

- აუცილებელია, შსს-მ შეიმუშაოს **ეფექტიანი რეაგირების მექანიზმი სისტემის თანამშრომლის მიერ ჩადენილი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების მიმართ**, ასევე უნდა იმუშაოს, რათა გამოირიცხოს გამოძიების პროცესში არაობიექტურობა, ორმაგი სტანდარტის არსებობა;

- აუცილებელია პოლიციის განყოფილებებში ძალადობის **მსხვერპლთა სპეციალური გამოკითხვის წესების არსებო-**

ბა, სამართალდამცავი უწყებისთვის იმ **სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება**, რომლებიც **სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოკითხვის წესს დაადგენდა** და მორგებული იქნებოდა სპეციფიკურად ამგვარი ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მდგომარეობაზე;

- საჭიროა **რეფერირების სუბიექტებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება** და ერთობლივი, **კოორდინირებული ძალისხმევის გაწევა** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;

- სასურველია, შსს-მ უფრო **აქტიურად ჩართოს თანამშრომლები რეფორმების დაგეგმვის პროცესში და გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები**, განსაკუთრებით სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში დანერგვის თანმხლები პრობლემების აღმოსაფხვრელად;

- აუცილებელია **მსხვერპლის მხარდაჭერის სოციალური პროგრამების გაუმჯობესება** და მათ შესახებ **ინფორმაციის მიტანა მოსახლეობამდე;**

- აუცილებელია **მოძალადის რეაბილიტაციისა და ქცევის კორექციის პროგრამების დანერგვა,** რათა გრძელვადიან პერსპექტივაში დაცული იყოს მსხვერპლი, ხელი შეეწყოს საზოგადოების გაჯანსაღებას და ძალადობის პრევენციას, ასევე თავიდან ავირიდოთ ძალადობრივი შემთხვევების განმეორება.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

კვლევაზე მუშაობდნენ

ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ოფისის
წარმომადგენლები:

ლელა ხათრიძე, ეკატერინე გამახარია

ქუთაისის სათაო ოფისის
მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ემა კამკია, ხათუნა გოგუა, თეა გოლეთიანი

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დაკაბადონება - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: (431) 27 13 68
597 40 51 46
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/